ყველანი ჯარში?!

დღევანდელი ქართული ჯარი რადიკალურად განსახვდება 90–იანი წლების ქართული ჯარისგან.ის იყო ჯარი, როდესაც ჯარისკაცებს ნორმალური ფეხსაცმელი და საჭმელი არ ჰქონდათ.დღეს ეს საკითხი მოგვარებულია, სახელმწიფო ყოველწლიურად მილიონობით ლარს ურიცხავს თავდაცვის სამინისტროს მსგავსი და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად.ინვენტარი და პირადი მოხმარების საგნები ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატებიდან და თურქეთიდან , ზოგჯერ კი უკრაინიდან შემოდის.ყველა ჯარისკაცს აქვს წელიწადის ოთხივე სეზონისათვის შესაფერისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.რაც შეეხება კვებას, რომელიც ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენდა 90–იანი წლების ჯარიში, დღეს მოგვარებულია.ქართულ ჯარს საუკეთესო კვება და სისუფთავე აქვს.მოგვარდა ყაზარმების კეთილმოწყობის საკითხი.ყველას აქვს კომფორტული საწოლი და აბაზანაც ყველაზეა გათვლილი.სახელმწიფოს ინიციატივამ "საკონტრაქტო" ჯარის შემოღების შესახებ, გაასამმაგა ჯარში წამსვლელთა რიცხვი.საკონტრაქტო ჯარში წასვლის მსურველი უნდა იყოს 35წლამდე, ის აფორმებს ხელშეკრულებას, ე.წ "კონტრაქტს" თავდაცვის სამინისტროსთანკონტრაქტის მიხედვიით ჯარისკაცი ვალდებულია დაიცვას სამშობლო საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი.ღირსეულად ემსახუროს ქვეყანას, არ ჩაიდინოს უღირსი საქციელი, რაც შეურაცყოფს ქართულ ჯარს და ა.შ.თავის მხრივ თავდაცვის სამინიისტრო დასახელმწიფო უზრუნველყოფს მათ ყოველთვიური ხელფასით, რომლის მინიმალური ზღვარია 650 ლარი., უზრუნველყოს უფასო სამედიცინო დაზღვევითა და მომსახურებით, ბანკები შეღავათიანი პირობებით ემსახურებიან და ა.შ.ჯარისკაცის მხრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ან ვადაზე ადრე თვითნებუბურად სამსახურის შეწყვეტის შემთხვევვაში მას ეკისრება ფულადი ჯარიმა. 17 000 ლარის ოდენობით.რაც შეეხება კონტრაქტის ხანგრძლივობას ის არის 4 წლიანი და 12 წლიანი.~ადამიანთა უმრავლესობა ღევანდელი მძიმნე პირობებისა და ეკონომიური პირობების გამო იძულებულია წავიდეს საკონტრაქტო ჯარში.ამ ფაქტისა თუ ადამიანთა პატრიოტიზმის გათვალისწინებით ჯარში წასვლის მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.ეს ზრდა ვერც 2008 წლის აგვისტოს ომმა შეაჩერა.როგორც ქალაქ გორის სამხედრო კომისარიატში აცხადებენ, საჯარო სკოლებიდან წვევამდელთა აღრიცხვა და სამედიცინო შემოწმება უკვე დაწყებულია.:აღრიცხვა არ არის დამთავრებული მაგრამ კონტიგენტი საკმაოდ მრავალრიცხოვანია თითქმის არავინ ცდილობს სამხედრო სამსახურს თავი აარიდოს, აცხადებენ გორის კომისარიატში.ერთ ერთი წვევამდელის გიორგი კოჩხუაშვილის განცხადებით ეს რომ ათი წლის წინანდელი ჯარი ყოფილიყო, სადაც საჭმელი და ჩასაცმელი არ ჰქონდათ , სურვილიც არ მექნებოდა

წავსულიყავი, მაგრამ ახლა ვიცი რომ საუკეთესო პირობებია და არც მიფიქრია თავი ავარიდო სამხედრო სამსახურს. მიუხედავად იმისა რომ უმაღლესში ჩაბარების შემდეგ წელიწადის ნახევარი მიცდება.ქართულ ჯარში მოუგვარებელი პრობლემებიცაა.ერთერთია სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილზე არსებული მედ პუნქტების საჭირო სპეციალისტებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფა.ხშირია შემთხვევები როდესაც ტკივილგამაყუჩებელი და ანტიბიოტიკიც კი არ აქვთ, დაჭრილი ჯარისკაცის სამედიცინო დახმარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ,არადა ჯარში უბედური შემთხვევები ხშირად ხდება, სამწუხაროდ ზოგჯერ ფატალურადაც სრულდება.ამიტომ საჭიროა მედპუნქტებს უფრო მეტად მიექცეს ყურადღება.სიკეთეებთან ერთად ჯარის ცხოვრებას ბევრი საფრთხეც ახლავს თან.
ის ითხოვს ყოველდღიურ დისციპლინას მძიმე ფიზიკურ და სულიერ ვარჯიშს.ერთი ჯარისკაცის შეცდომაზე მთელი ნაწილი ისჯება.ჯარი, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, შეთანხმებულად მოქმედებს .ერთი პატარა შეცდომა და შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მივიღოთ.როდესაც საქმე ტექნიკას და სამხედრო ააღჭურვილობას ეხება , ძნელი გასათვლელია,როდის რა მოხდება, მითუმეტეს ახალწვეულებთან დიდი ყურადღებაა საჭირო.ამიტომ პროფესიონალებს და მომავალ ჯარისკაცებს ვურჩევთ საფუძვლიანად შეისწავლონ მათ გამოყენებაში მყოფი იარაღის მოხმარება, რათა უბედური შემთხვვები თავიდან ავიცილოთ–ამბობს მაიორი ლევან ელკანოვი.
ვინც ჯარში არ წასულა, ვურჩევთ თავიდანვე შეეჩვიოს დისციპლინას, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობას, სხვებზე ფიქრს და მათთან ერთად შეთანხმებულ ცხოვრებას.რადგან ამის გარეშე ჯარი არ არსებობს
აქ არ იბრძვიან ერთეულები, აქ მთლიანი ჯარი იბრძვის როგორც ერთი ინდივიდი.